პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № _____

2026 წლის „____“ _____

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №26 დადგენილებაში (ვებ-გვერდი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge , გამოქვეყნების თარიღი 01/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016487) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი და დანართი №5.

მუხლი 2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე, ალექსანდრე პუშკინის ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთში შესაბამისი საგზაო ნიშნების, მონიშვნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების მოწყობა.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ქალაქ ბათუმში, ალექსანდრე პუშკინის ქუჩის კონკრეტულ სეგმენტზე სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაციისა და მიმდებარე საგზაო კვანძების განტვირთვის მიზნით, დღის წესრიგში დადგა მოძრაობის არსებული სქემის გადახედვის აუცილებლობა. პარმენ ლორიას ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე მონაკვეთში ორმხრივი მოძრაობის შემოღება უზრუნველყოფს ავტომანქანების უფრო ეფექტურ დისტრიბუციასა და მძღოლებისათვის ალტერნატიული მარშრუტის შექმნას. აღნიშნულზე თანხმობა იქნა გაცხადებული საგზაო მორაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი ორგანის მიერ, კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, 2026 წლის 17 ივნისის №2113555 (2026 წლის 16 ივნისის №N14-14261671236) განცხადების პასუხად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა 2026 წლის 19 ივნისის წერილით (MIA 4 26 02156665) მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას და დაადასტურა თანხმობა ხსენებულ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის ორგანიზებაზე.

ბ) პროექტის მიზანი:

ალ. პუშკინის ქუჩის ნაწილზე (პარმენ ლორიას ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე) საგზაო მოძრაობის ორმხრივი რეჟიმის სამართლებრივი განსაზღვრა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის საფუძვლის შექმნა.

გ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №26 დადგენილებაში, რის შედეგადაც ალ. პუშკინის ქუჩის ხსენებული მონაკვეთი იცვლის სტატუსს და ცალმხრივი მოძრაობის ნაცვლად მასზე წესდება ორმხრივი მოძრაობის რეჟიმი.

დ) ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ:

აღნიშნულ სატრანსპორტო ცვლილებაზე გაცემულია ოფიციალური თანხმობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან. კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 17 ივნისის №2113555 (2026 წლის 16 ივნისის №N14-14261671236) განცხადების პასუხად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა 2026 წლის 19 ივნისის წერილით (MIA 4 26 02156665) მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას და დაადასტურა თანხმობა ხსენებულ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის ორგანიზებაზე.

ე) პროექტის გავლენა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ხარჯებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რაც დაკავშირებულია პუშკინის ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთში ახალი საგზაო ნიშნების, მონიშვნებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან.

ვ) პროექტის ავტორი:

ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახური

ზ) პროექტის ინიციატორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და
მუნიციპალური ორგანიზაციების
მართვის სამსახურის უფროსი: **რუსუდან ჟოჟაძე**